საბიუჯეტო პროცესი, თავისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მეტად ორიგინალურად გამოიყერება საფრანგეთში. ცენტრალური ბიუჯეტი ფლობს ფინანსური სისტემის შემოსავლებისა და გასავლების 80%-ს, ამავდროულად, ქვეყანაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტის გადახაწილება ხორციელდება სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით. ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტიდან გაცემულ კრედიტებსა და სუბსიდიებზე. საბიუჯეტო პროცესი

ოთხი სტადიით სამ წლამდე პერიოდს გრძელდება. საბიუჯეტო წელი კი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ბიუჯეტის პროექტს ადგენს ფინანსთა სამინისტრო, რომლის განხილვაც სწარმოებს ქვედა და ზედა პალატაში. დამტკიცებას ახორციელებს ორივე პალატა ერთობლივად.

საფრანგეთის თავისებურება მდგომარეობს იმაშიც, რომ ბიუჯეტის თანხებს განაგებს მთლიანად ხაზინა, რომელიც თავის ანგარიშს ფლობს საფრანგეთის ბანკში, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი ბიუჯეტის საადსრულებლო პროცესში მხოლოდ დამხმარე როლის შესრულებით შემოიფარგლება.

საფრანგეთში ხაზინის უმთავრესი დანიშნულებაა სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი მოლარეობა ანუ სწორედ ის უზრუნველყოფს უკედა საჭირო ხარჯის განსახორციელებლად აუცილებელი ნადიო ფულის მიწოდებას, ე.ი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასაფლის უკედა ოპერაცია სახაზინო სამსახურის მეთვალყურეობითა და ზედამხედველობით ხორციელდება. იმავდროულად, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებასა და ფინანსური ბაზრის ფორმირებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახაზინო სამსახურის საქმიანობას განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტის აღსრულების პროცესში. ჩვენი აზრით, საჭიროა გატარდეს კომპლექტური დონისძიებები საქართველოში მისი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით. სახაზინო სამსახურის მხრიდან მიზანშეწონილად მივწევთ, გარდა სახელმწიფოს ფინანსური ოპერაციების გამჭირვალობისა და ანგარიშების, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სწორად და სრულად აღრიცხვის უზრუნველყოფისა, მოხდეს მისი ფუნქციების გაფართოება.

საბიუჯეტო პროცესი საქართველოში მოითხოვს პირველ რიგში მისი სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველყოფას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს კერძო ინტერესების უგულებელყოფა და ეროვნული ინტერესების წინაპლანზე წამოწევა.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების საბიუჯეტო მუშაობის გაანალიზებამ ცხადყო, რომ მათ მიერ შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკაში დანერგილი ზოგიერთი საკითხის ჩვენს ქვეყანაში გამოყენებამ, შესაძლოა ბიძგი მისცეს გარკვეული დადგებითი მოვლენების განვითარებას, რაც გამოხატვას პპოვებს საქართველოში საბიუჯეტო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა.- საჯარო ფინანსები, თბ. 2010.
2. მიქელაშვილი მ.- სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული ასპექტები, გამომცემლობა „სიტყვა”, თბ. 2011.
3. მესხია ი., გაბელაშვილი კ.- საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ. 2010.
4. ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ.- გადასახადები და დაბეგრა, გამოცემლობა, თბ. 2011.
5. მეщерიალოვა ი.- Налоговые системы развитых стран мира, 1995.
6. Финансы. Под. ред. М. В. Романовского, О.В. Врублевской, Г.М. Сабанти. \_М.: Изд. Перспектива; Изд. Юрайт, 2001.

- 
7. Налоги и налогообложение, под ред. М.В. Ромоновского, О.В. Врублевской, М. 2000.
  8. Налоговая система зарубежных стран, колл. авторов: М.Я. Иоффе, В.Г. Князева, В.Г. Банков и др. 1996.

**ნინო ქავთარაძე**

პირული ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

**გიორგი მუშავეგის საზღვარგარეთული გამოცდილება და მისი  
გამოყენების შესაძლებლობები**  
ანოტაცია

სტატიაში განხილულია საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ფინანსური სისტემები, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, მათი გამოცდილების დადგითი მხარეები და საქართველოში დანერგვის შესაძლებლობები.

**Нино Кавтарадзе**

Академический доктор бизнес администрации

## **ОПЫТ РАБОТЫ НАД БЮДЖЕТОМ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН И ВОЗМОЖНОСТИ ИХ ИСПОЛЬЗОВАНИЯ**

### **Аннотация**

В статье рассмотрены финансовые системы развитых стран, также вопросы связанные с бюджетными процессами, положительные стороны их опыта и возможности внедрения в Грузии.

**Nino Kavtaradze**

Ph.D Degree in Business Administration

## **WORKING EXPERIENCE ON BUDGET IN FOREIGN COUNTRIES AND HOW IT CAN BE APPLIED IN GEORGIA**

### **Annotation**

This article discusses the financial systems of foreign, developed countries and their budget processes, with particular focus on the positive elements and the possibilities of introducing such elements in Georgia.


## გულალტრული აღრიცხვა

**დალი სოლოლაშვილი**  
 აკ. წერეთლის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტის სრული პროფესორი  
**ზეინაძ ახალაძე**  
 აკ. წერეთლის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

### ბიოლოგიური აგრიკულტურული, მთის შეზასხვისა და გულალტრული აღრიცხვის თავისებურებები

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ბასის 41 განმარტავს, როგორც საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვას გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

ტრანსფორმაცია არის ის უნიკალური თვისება, რაც ბიოლოგიურ აქტივებს განასხვავებას სხვა სახის აქტივებისაგან. ბიოლოგიური ტრანსფორმაცია მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებასა და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ და რაოდენობრივ (ცვლილებებს (სქემა 1).)



სქემა 1. ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის შედეგები

ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა უმნიშვნელოვანესი საქმეა და წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ეფექტური ორგანიზაციის საფუძველს სოფლის მეურნეობაში.

გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ბიოლოგიური აქტივები შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითად აქტივებს და მათი ბალანსის ვალუტის დაახლოებით 40-50%-ს. ამიტომ მათი აღიარებისა და შეფასების მეთოდოლოგიას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება და უფრო ღებულებრივი განხილვას საჭიროებს.

ბიოლოგიური აქტივის ცნება ახალია ჩვენი სააღრიცხვო სისტემისათვის, რომელიც აქნისამდე აღირიცხებოდა ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში მათგან ცალკე ჯგუფად გამოყოფის გარეშე. სტანდარტს კი შემოაქვს ბიოლოგიური აქტივის ცნება და განმარტავს მას ძალზედ მარტივად და გასაგებად, რო-

გორც „ცხოველი ან მცენარე“. მათ შორის საგადასახდო კოდექსიც, თუმცა უმჯობესი იქნებოდა პიოლოგიურ აქტივად წარმოდგენილი ყოფილიყო „ცხოველი და მცენარე“. მას მიეკუთვნება: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ცხვარი, ფრინველი, ფუტკრის სკა, ხილ-კენკროვანი აულტურები, ვენახი, სუპტროპიკული აულტურები, ჩაის პლანტაცია და სხვა მრავალწლიანი ნარგავები.

მიუხედავად იმისა, რომ მიწა, ხოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითად, შეუცვლელ და განსაკუთრებულ საშუალებას წარმოადგენს, სტანდარტი არ აფუძნებს ახალ პრინციპებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწისათვის. ისევე როგორც მეწარმეობის სხვა დარგებიში, სასოფლო-სამეურნეო საწარმო მიწის აღრიცხვისათვის იყენებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ ან ბასს 40 „სააინკვეტიციო ქონება“, იმისდა მიუხდვით, თუ რომელი სტანდარტი იქნება უფრო შესატყვის მოცემული შემთხვევისათვის.

ბიოლოგიური აქტივების აღიარების კრიტერიუმები ანალოგიურია იმისა, რაც გამოიყენება საზოგადოდ ყველა აქტივებისათვის. საწარმომ ბიოლოგიური აქტივი უნდა აღიაროს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- საწარმო ამ აქტივს აკონტროლებს წარსული მოვლენების შედეგად;
- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითდირებულების სამძლოდ შეფასება.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან მიმართებაში კონტროლი შესაძლებელია დასაბუთებული იყოს, მაგალითად, მსხვილი რქოსანი პირუტყვის იურიდიული მფლობელობით და საქონლის შექნის, დაბადების ან ძუძუდან მოცილებისას დადაღვით ან სხვაგარად მარკირებით.

მომავალი სარგებელი, როგორც წესი, ფასდება მნიშვნელოვანი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

ბიოლოგიური აქტივების შეფასების კრიტერიუმები ბასს 41-ის საკვანძო საკითხს წარმოადგენს. როგორც წესი, შეფასება უნდა მოხდეს ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარების დროს და ასევე, ყოველი სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

სტანდარტის თანახმად, ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედო შეფასება.

თუ მაგალითად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საბაზრო ღირებულება 800 ლარია, მისი ბაზრამდე ტრანსპორტირება საწარმოს უჯდება 60 ლარი, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული ხარჯები, როგორიცაა ღიღერის ანაზღაურება და სხვა 35 ლარი, ბიოლოგიური აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება 705 (800-60 -35) ლარის ოდენობით. მაშასადამე, რეალური ღირებულება განისაზღვრა 740 (800 დ 60) ლარის ოდენობით, ხოლო გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება 705 (740-35) ლარის ოდენობით.

სტანდარტი მოითხოვს ბიოლოგიური აქტივების შეფასებას რეალური ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არ მოიპოვება ბაზრით განსაზღვრული ფასები და ღირებულებები და რთულია ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების საიმედო შეფასება, რასაც აღგილი შეიძლება პქონდეს მხოლოდ აქტივის თავდაპირველი აღიარების დროს, სტანდარტი დასაშვებად მიიჩნევს აქტივის გაზომვას დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული

თვითდირებულებით. მაგრამ, როგორც კი, შესაძლებელი გახდება ამ ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების საიმედო შეფასება, საწარმომ უნდა დაიწყოს მისი შეფასება გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. თუმცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ მომენტის დადგნასთან დაკავშირებით, თუ როდის გახდება შესაძლებელი რეალური ღირებულების საიმედო შეფასება, რაც შეიძლება სუბიექტური იყოს.

ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების დადგებითი და უარყოფითი მხარეები სქემაზე დასახული ასე გამოისახება:

### რეალური ღირებულება

დადგებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• რეალური ღირებულება არის უფრო შესაბამისი, საიმედო, შესადარისი და ადქმადი.</li> <li>• იძლევა ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის შედეგების შეფასების შესაძლებლობას.</li> <li>• რეალური ღირებულებით შეფასება ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების სიდიდეს მიმდინარე მომენტისათვის და ა.შ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაზო ფასები არის ცვალუბადი და სეზონური და არ წარმოადგენს შეფასების შესაბამის საფუძველს.</li> <li>• საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ფასებს შესაძლოა კავშირი არ ჰქონდეს იმ ფასებთან, რომლოთაც აქტივი მომავალში გაიყიდება და ა.შ.</li> </ul>

### სქემა 2. ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების დადგებითი და უარყოფითი მხარეები

ბიოლოგიური აქტივების შეფასების შემთხვევაში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითდირებულებით, სტანდარტი მოითხოვს დამატებით განმარტებას. დამატებითი განმარტება პერიოდის ბოლოს არსებულ ბიოლოგიურ აქტივებზე ისეთ ინფორმაციას შეიცავს, როგორიცაა აქტივების აღწერა და ახსნა იმისა, თუ რატომ არის შეუძლებელი რეალური ღირებულების საიმედო შეფასება. დამატებითი განმარტება ასევე შეიცავს პერიოდის განმავლობაში იმ ბიოლოგიური აქტივის გასვლისას აღიარებულ შემოსულობასა და ზარალს, რომელიც შეფასებულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითდირებულებით, მაშინაც კი, როდესაც ბიოლოგიური აქტივები პერიოდის ბოლოს აღარ არსებობს.

ზოგჯერ შესაძლოა თვითდირებულება უახლოვდებოდეს რეალურ ღირებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც: ა) თავდაპირებელი ხარჯის გაწევიდან (მაგალითად, უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების წინ დარგული ხეხილის ნერგები) მცირეოდენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი; ან ბ) მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ იქნება მნიშვნელოვანი (მაგალითად, საწყისი ზრდა ფიჭვის პლანტაციის 30 წლიან საწარმოო ციკლში).

ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიურ ბაზარზე მათი ფასის საფუძველზე. თუ მოცემულ მდგომარეობაში და მოცემულ ადგილსამყოფელში, ბიოლოგიური აქტივისათვის აქტიური ბაზარია, ამ ბაზრის

კოტირებული საბაზრო ფასი არის აქტივის რეალური დირებულების განსაზღვრის სათანადო საფუძველი. თუ საწარმოს ხელი მიუწვდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, მაშინ საწარმო მიმართავს ყველაზე შესაფერის ბაზარს და გამოიყენებს იმ ბაზარზე არსებულ ფასს. საქართველოში ბიოლოგიური აქტივების აქტიური ბაზარი სამწუხაროდ არ არის განვითარებული. ამიტომ, საწარმომ უნდა გამოიყენოს ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყაროები. საინფორმაციო წყაროები ბიოლოგიური აქტივის შესახებ, შესაძლოა სხვადასხვა დასკვნას იძლეოდეს. საწარმო იხილავს ამ სხვაობების მიზეზებს, რათა მიიღოს რეალური დირებულების წინასწარი შეფასების ყველაზე საიმედო თანხა, წინასწარი შეფასებების შედარებით მცირე დიაპაზონის პირობებში (სქემა 3).

### ბიოლოგიური აქტივების აქტიური ბაზარი

#### არსებობს

უნდა  
სრულდებოდეს  
აქტიური ბაზრის  
ფუნქციონირების  
შემდეგი  
კრიტერიუმები

- გარიგებათა ბიექტები ბაზარზე არიან ერთგაროვნები
- ნებისმიერ დროს შეიძლება მოიძებნოს გამყიდველები და მყიდველები, რომელთაც სურო დადონ გარიგება
- ინფორმაცია ფასების შესახებ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის

#### არ არსებობს

უახლესი საბაზრო გარიგების ფასი, თუ ეპონომიკური მდგრმარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვალა გარიგების დადების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღიდან:

ანალოგიური აქტივების სასაბაზრო ფასები სხვაობების ამსახელი კორექტირებით;

სუქტორის სტატიური ბაზა, როგორიცაა ხეხილის ბადის დირებულება თოთოველი საექსპორტო შესაძლებლობის, ტონის ან ჰექტარის მიხედვით, ასევე პირუტყვის დირებულება გამოსახული კილოგრამი ხორცის მიხედვით.

### სქემა 3. ბიოლოგიური აქტივებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალური დირებულების განსაზღვრისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზა

შესაძლებელია, ბიოლოგიური აქტივის რეალური დირებულების განსაზღვრისათვის, სასოფლო-სამეურნეო საწარმო იყენებდეს აქტივიდან მოსალოდნელი ნეტო ფულადი სახსრების დისკონტირებულ დირებულებას. ამის მიზანია ბიო-

ლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრა მისი მოცემული ადგილ-სამყოფელისა და მდგრმარეობის გათვალისწინებით. მოსალოდნელი ნეტო ფულადი ნაკადების დისკონტიტებული ღირებულების გამოთვლისას საწარმო ითვალისწინებს იმ ნეტო ფულად ნაკადებს, რომლის მიღებასაც ივარაუდებდნენ ბაზრის მონაწილეები მოცემული აქტივიდან, ამ აქტივისათვის ყველაზე შესაფერის ბაზარზე გარდა ამისა ითვალისწინებს სავარაუდო ხარჯებსა და დისკონტირების განაკვეთს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მაჩვენებელი ატარებს სავარაუდო ხასიათს.

სტანდარტი მოითხოვს, რომ მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარებიდან და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული, რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდეს იმ პერიოდის მოგებასა და ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნა.

შემოსულობა შესაძლოა წარმოიშვას ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების ან აღების დროს; ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცოცხალი ცხოველის ნამატს.

როგორც ზემოთ უკვე ადგნიშვნოთ, ბიოლოგიური აქტივებისათვის დამახასიათებელია ტრანსფორმაციის უნარი, რაც თავის მხრივ იწვევს სხვადასხვა სახის ფიზიკურ ცვლილებას-ზრდას, გამრავლებას, პროდუქციის წარმოებას და ა.შ. ამ ფიზიკური ცვლილებების თითოეული ეტაპი, ისევე, როგორც ბიოლოგიური აქტივების ფასში მომხდარი ცვლილებები, პირდაპირ არის დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელთან. მაშასადამე, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს როგორც ფიზიკური ცვლილების, ასევე ბაზარში ფასის ცვლილებების შედეგად. იმისათვის, რომ შევაფასოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიმდინარე და მომავალი პერიოდების საქმიანობა, სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა, ცალკე გაიხსნას ინფორმაცია, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რაც გამოწვეულია ფიზიკური და ფასის ცვლილებების შედეგად.

მოვიყენოთ ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ფორმირებისა და საწარმოს ფინანსურ შედეგზე მათი გავლენის მაგალითი ბასს 41-ის შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმო არის დაკავებული ცხვრების მოშენებით. 2012 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით საწარმოს ბალანსზე აღირიცხებოდა 50 სული ცხვარი (ყველა ცხვარი არის 2 წლის). გარკვეული ვადის, კერძოდ 6 თვის გასვლის შემდეგ ცხვრებმა მოგვცეს ნამატი. 2012 წლის 30 ივნისის მონაცებებით, ბატკნების რაოდენობა შეადგენდა 20 სულს. 2012 წლის ბოლოს, 10 ცხვარი იქნა დაკლული, ხორცის რეალიზაციის მიზნით. ერთი დაკლული ცხვრის რეალური ღირებულება შეადგენდა 137 ლარს.

### ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულება 2012 წელს

**ცხრილი 1.**

თარიღი	ახალდაბადებული ბატკნები	ბატკნები (6 თვის)	ცხრები (2 წლის)	ცხრები (3 წლის)
01.01.2012	32	33	55	60
30.06.2012	33	34	54	58
31.12.2012	34	38	57	64

განვსაზღვროთ ცხვრის ფარისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხორცის) რეალური ღირებულება 12.2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცალკე გაიხსნას ინფორმაცია ფასის ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის შედეგების შესახებ.

**ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულება 31.12.2012-ის მდგომარეობით:**

ბატქნები ( 2012 წლის 30 იქნის დაბადებული ბატქნები წლის ბოლოს გადაყავთ 6 თვითხების ჯაზფში):

$$20 \text{ ბ } 38 = 760 \text{ ლარი}$$

ცხვრები-3 წლის ( წლის დასაწყისამდე ყველა ცხვარი მიეკუთვნებოდა 2 წლიანების რიცხვს, ხოლო წლის ბოლოს ისინი გადაყვანილ იქნან 3 წლიანების პატვეგორიაში):

$$40 \text{ ბ } 74 = 2960 \text{ ლარი}$$

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ცხვრის ხორცი):

$$10 \text{ ბ } 137 = 1370 \text{ ლარი}$$

**საბოლოო, 31.12.2012.** - ის მდგომარეობით საწარმოს ბიოლოგიური აქტივების ჯამური ღირებულება ბალანსში შეადგენს 5 090 ლარს. მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ცხვრის ხორცი) ღირებულება კი შეადგენს 1370 ლარს.

ადნიშნული მიღებია, ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისადმი, იძლევა მკაფიო სურათს საწარმოს რეალური ქონებრივი მდგომარეობის შესახებ წლის ბოლოს, რამდენადაც, რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიური ბაზრის ფასის საფუძველზე.

**ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების აღრიცხვა ბიოლოგიური ცვლილების (ტრანსფორმაცია) შედეგად:**

ბატქნების ღირებულება დაბადებისას: 20 ბ 33 = 660 ლარი

ბუღალტრულად გატარდება:

**დებეტი** - ბიოლოგიური აქტივი ( ბატქანი) - 660

**კრედიტი** - შემოსულობა ბიოლოგიური აქტივის საწყისი აღიარების მომენტში (ბატქნების დაბადება) - 660

ცვლილებები ბიოლოგიური აქტივების რეალურ ღირებულებაში ბიოლოგიური ცვლილების (ტრანსფორმაცია) შედეგად:

ბატქნები 20 ბ (38-34) ლარი = + 80 ლარი

ცხვრები 50 ბ ( 64-57 ) = + 350 ლარი

ჯამში + 430 ლარი

ბუღალტრულად გატარდება:

**დებეტი** - ბიოლოგიური აქტივი ( ბატქანი) - 80

**დებეტი** - ბიოლოგიური აქტივი (ცხვარი) - 350

**კრედიტი** - შემოსულობა ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად (ტრანსფორმაცია) - 430

**ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების აღრიცხვა ფასების ზრდის შედეგად:**

ბატქნები 20 ბ (34-33) ლარი = + 20 ლარი

ცხვრები 50 ბ (57-55) = +100 ლარი

ჯამში +120 ლარი

ბუღალტრულად გატარდება:

**დებეტი** - ბიოლოგიური აქტივი ( ბატქანი) - 20

**დებეტი** - ბიოლოგიური აქტივი (ცხვარი) - 100

**კრედიტი** - შემოსულობა ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად (ფასის ზრდა) - 120

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხორცი) აღიარება ცხვრის დაკვლის შემდეგ:

**დებეტი** - მარაგები (ცხვრის ხორცი) - 1370

**კრედიტი** - ბიოლოგიური აქტივი (ცხვარი) - 640

**კრედიტი** - შემოსულობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ცხვრის ხორცი) აღიარების შედეგად რეალური დირებულების საფუძველზე - 730

2012 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსულობა აისახება თანხით 1940 ( $660 + 430 + 120 + 730$ ) ლარი

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 41 -სოფლის მეურნეობა
2. რ. ძაბაძია. პრაქტიკული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე. ქურ. ბუღალტრული აღრიცხვა №10, 11, 12; 2012 წელი

### დალი სოლოდაშვილი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი  
ზეინაბ ახალაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

### გიოლოგიური ამჟამაში, მათი შეზარდისა და გულალტრული აღრიცხვის თავისებულებები ანოტაცია

სტატიაში განხილულია ბასს 41 -ის, „სოფლის მეურნეობა,“ საფუძველზე ბიოლოგიური აქტივები, რომელებიც არსებითად განსხვავდებიან სხვა სახის აქტივისაგან. სხვაობას განაპირობებს მისი ტრანსფორმაციის უნარი, რამდენადაც ტრანსფორმაცია იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს. ტრანსფორმაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ეფექტური ორგანიზაციის საფუძველს. განხილულია ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები. გამახვილებულია ყურადღება თვითღირებულებაზე, რეალურ დირებულებასა და შემცირებულ რეალურ დირებულებაზე, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებულ დანახარჯებზე. სქემატურადაა წარმოდგენილი ბიოლოგიური აქტივების რელური დირებულებითი შეფასების დადგენითი და უარყოფითი მხარეები და რეალური დირებულების განსაზღვრისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზა.

მოყვანილია ბიოლოგიური აქტივების რეალური დირებულების ფორმირებისა და საწარმოს ფინანსურ შედეგებზე მათი გავლენის პრაქტიკული მაგალითი.

**Дали Сологашвили**

полный профессор

Государственного университета Акакия Церетели

**Зеинав Ахаладзе**

ассоциированный профессор

Государственного университета Акакия Церетели

## **БИОЛОГИЧЕСКИЕ АКТИВЫ, ОСОБЕННОСТИ ОЦЕНКИ И БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА**

### **Аннотация**

В статье рассматриваются биологические активы на основании МСФО (IAS) 41 "Сельское хозяйство", которые существенно отличаются от других видов активов. Спецификой биологических активов является то, что они поддаются биотрансформации — процессам роста, вырождения, продуцирования и размножения, в результате которых в биологических активах происходят качественные или количественные изменения. Определение результатов трансформации является основой эффективной организации бухгалтерского учета.

В статье рассматриваются критерии признания и оценки биологических активов, акцентировано внимание на их себестоимости, справедливой стоимости и на предполагаемых расходов на реализацию. Представлены преимущества и недостатки оценки биологических активов по справедливой стоимости и необходимая информационная база для оценки по справедливой стоимости.

Формирование справедливой стоимости биологических активов и их влияние на финансовые результаты компаний показан на практических примерах.

*Dali Sologhashvili*

*Ak. Tsereteli State University Full Professor*

*Zeinab Akhaladze*

*Ak. Tsereteli State University Assoc. Professor*

## **THE BIOLOGICAL ASSETS, THEIR EVALUATION AND ACCOUNTING PECULIARITIES**

### **Annotation**

The article discusses biological assets on the basis of IAS 41 Agriculture, which are substantially different from other types of assets. Difference is caused by the transformation ability, as far as the transformation leads to qualitative and quantitative changes of the biological asset. Determination of transformation results and accounting is the basis of the effective organization for accounting. We consider criteria for the recognition and evaluation of biological assets. Attention is paid to cost price, to fair value and reduced fair value, to the estimated expenditures for sale. There is presented real value evaluation of the biological assets in the form of schemes, given its advantages and disadvantages and the basis for determining the fair value of the information required.

There are practical examples about formation of fair value of biological assets and their impact on the financial results of the company.

## გუნდათსარბებლობა

გიგა მაისურაძე  
ეკონომიკის დოქტორი

### მინერალური ფყლების გამოყენების პროცესები საშართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყაროების მრავალფეროვნება და რაოდენობრივი სიუხვე ეკონომიკის გაჯანსაღების და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის კარგი საფუძველია. საქართველოში გვხვდება მომქმედი კლასიფიკაციით ცნობილი მინერალური წყლების ყველა ტიპი. აქედან დებეტის მიხედვით 300-ზე მეტს დიდი სამრეწველო ან ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

გასული საუკუნის 50-ინი წლებიდან მოყოლებული, ხდებოდა ზოგიერთი მინერალური წყლის ჩამოსხმა და ისინი ჩართული იყო სამეურნეო ბრუნვაში („ბორჯომი“, „საირმე“, „ნაბეჭდლავი“, „ზვარე“, „სქური“, „ლუბელა“, „მაჟ“, „ბაგიათა“, „უწერა“, „ვაჟას წყარო“, „ავადხარა“), თუმცა დღეს მათი რიცხვი საქმართ შემცირებულია. კარგი პერსპექტივები აქვს ახალციხის, ბოლნისის, ყაზბეგის, ურაველის, კოქიტაურის, ლეხარდეს, ფასანაურის, ვარძის და სხვა წყაროების სამრეწველო გამოყენებას.

საქართველოს მინერალური წყლების ჩამოსხმის პოტენციური შესაძლებლობა თითქმის განუზომელია. საქმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი წყაროების დებიტი, საჭიროების შემთხვევაში (ბაზრის მოთხოვნის მიხედვით), წელიწადში 8-10 მლრდ ბოთლი (0,5 გაანგარიშებით) მინერალური წყლის ჩამოსხმის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში მინერალური წყლების წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება 1854 წლიდან სახელგანთქმული ბორჯომის წყლის ჩამოსხმით. 1855 წელს წარმოებამ 319 ათას ლიტრს მიაღწია, ხოლო 1913 წელს – 9 მლნ ლიტრს. მაქსიმალური შედეგი მიღწეული იქნა 1975 წელს – 405412 ათასი ლიტრი, ანუ საერთო მინერალური წყლების ჩამოსხმის 90%. ხოლო შემდგომ პერიოდში უკვე კლების ტენდენცია გამოიყვათა.

ბორჯომის საბადოს მარაგი დღემდე დღე-დამეში 537 მ³ შეადგენდა. ეს მარაგები ჯერ კიდევ 1982 წ. დაამტკიცეს 25 წლით. 2006 წლის 14 ივნისს მარაგების დათვლის სახელმწიფო კომისიამ „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ მიერ წარდგენილი სრულყოფილი ანგარიშის საფუძველზე ბორჯომის საბადოს ახალი მარაგები დაამტკიცა. წინა პერიოდთან შედარებით, ბორჯომის მარაგები 24 მ³-ით გაიზარდა და ამიერიდან ბორჯომის საბადოს საექსპლუატაციო რესურსები დღე-დამეში 561 მ³ - ით გაანისაზღვრა. აქ ერთი მნიშვნელოვანი მოქნებია აღსანიშნავი. ის მინერალური წყალი, რისი მოპოვებაც ხდება, განახლებადი რესურსია, ანუ მიიღება მინერალური წყლის ის რაოდენობა, რისი შევსებაც ბუნებრივია ხდება. საექსპლუატაციო ჭაბურდილები თავისუფალი თვითდენის რეჟიმით მუშაობენ. კერძოდ, ვდებულობთ იმას, რასაც ბუნება თვითონ გვიმზადებს. ამიტომაცაა ბორჯომი უნიკალური და ერთადერთი. მას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

კომპანია ბორჯომი ახალი სახელით დარგებისტრირდა და სტატუსიც შეიცვალა, ლოკალური ადგილობრივი მწარმოებლიდან „ბორჯომი“ მულტიბიური კომპანიად გარდაიქმნა და ცნობილია, როგორც „IDS ბორჯომი საქართველო“. მისი პორტფელი შესდგება ისეთი ცნობილი ბრენდებისაგან, როგორიცაა: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბაგურიანი“, „ბორჯომის წყაროები“, „მინეროლოგიკაია“, „მორშინსკაია“, „სტარი მირგოროდი“, „ტრუსკავეცკაია“, „სორო-

ჩინსკაია“, „ალიასკა“, „ედელვისი“, „სვიატო ისტორია“.

საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi international“ დაარსდა 2004 წელს „ბორჯომის ბაზაზე“, სადაც ქართულ კომპანიასთან ერთად გაერთიანებულია უკრაინული და რუსული მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიები „IDS Group“ და „IDS Borjomi Russia“, კომპანიამ წარმომადგენლობაც გახსნა ევროპაშიც, რომელიც „IDS Borjomi Europe“-ს სახელით არის ცნობილი. პორტფელში შემავალ ბრენდებს შორის წამყვანია ბორჯომი, ხოლო მისი საექსპორტო პოტენციალი თანდათან იზრდება (30 ქვეყანა), იგი ლიდერია დასტა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

2006 წელს ბორჯომისთვის რუსეთის ბაზარი დაიხურა, მიუხედავად ამისა, წარმოების მკვეთრ კლებას ადგილი არ ჰქონია. 2007 წელს რეალიზებული იქნა 6,7 მლნ აშშ ღოლარის 15,1 მლნ ლ. წყალი. ასევე საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა კომპანია 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, თუმცა მენეჯმენტმა ეს პრობლემაც უმტკივნეულოდ დასძლია. 2009 წელს გაყიდვების საერთო მოცულობამ 115 მლნ ბოთლს მიაღწია. უკვე 2010 წლიდან დღემდე მიმდინარეობს მუშაობა და იგი რეალიზდება კიდეც, მიზანია 700-800 მლნ ლ. მინერალური წყლის წარმოება, ხოლო პერსპექტივიაში კომპანია გეგმავს ბორჯომის რესურსის სრულ ათვისებას.

1997 წელს შვეიცარიელ პარტნიორებთან ერთად დაფუძნდა შპს „წყალი მარგებელი“, რომელმაც უუნქციონირება დაიწყო 1998 წელს და არსებობს დღემდე თრიუერ მოხდა საწარმოს მოდერნიზება უახლესი გერმანიული აღჭურვილობით. ასევე აქვს საბაზო ექსპლუატაციის გენერალური ლიცენზია, იგი აწარმოებს ორი სახის პროდუქციას: ნატურალურ მინერალურ წყალს „ნაბედლავს“ და ნატურალურ წყაროს წყალს „ბახმაროს“. „ნაბედლავი“ ბუნებრივი CO<sub>2</sub>-ით გადამდიდრებული საშვალო მინერალიზაციის ნატურალური მინერალური წყალია. საწარმომ ექსპორტი დაიწყო 1999 წლიდან, პროდუქცია წარმოდგენილია დსტ-ს, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ა.შ.შ.-ს, არაბეთის, გაერთიანებული საქმიროების, ირანის და სხვა ქვეყნების ბაზრებზე. სულ ექსპორტი ხორციელდება 15 ქვეყანაში, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზარი, სადაც კონკურენციის პირობების მიუხედავად, კარგი მაჩვენებლები ფიქსირდება.

ქართულ ბაზარზე საინტერესო ბრენდია მინერალური წყალი „ფლატე“. აღსანიშნავია, რომ ამ წყლის ტექნოლოგიური ჩამოსხმა გასული საუკუნის 80-იან წლებიდან დაიწყო, ხოლო 2007 წლიდან ახალი ჩამოსასხმელი სამქრო ფუნქციონირებს. როგორც დაბალი მინერალიზაციის სუფრის წყალს (პიდროგარბონატულ მაგნიუმ-ნატრიუმიანი), კარგი პერსპექტივები აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პოზიციურობისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მინერალური წყლების ბუნებრივი რესურსები პირობითად შეიძლება დავაჯგუფოთ ხუთი ძირითადი ტიპის მიხედვით: „ბორჯომის“, „ნარზანის“, „ესენტუკის“, „საირმის“ და სპეციფიკური შემადგენლობის „ლუგელასი“ და „სქურის“. აღსანიშნავია, რომ ჩამოვლილობან მხოლოდ მცირე ნაწილია გამოუყენებელი, განსაკუთრებით ეს ეხება სუფრის მინერალურ წყლებს, რომლებზეც საგარეო ბაზრებზე დიდი მოთხოვნაა. აღსანიშნავია ყაზბეგის რაიონის „ნარზანები“, წყაროების რიცხვი 100-ზე მეტია, ხოლო საერთო დებეტი მერყეობს 50-60 მლნ ლ დღე-დამეშთ. ასევე საინტერესოა თხევადი ნახშირმჟავას მიღების მიზნით გამოყენება. ეს უნიკალური რესურსი მეტად საყურადღებოა. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზრის სეგმენტის „ბალნეოკლიმატური SPA პურორტების ქსელის გაფართოება (დღესდღეობით მნიშვნელოვანია საირმეს კურორტი). ამ თვალსაზრისით საყურადღებო „ნუნისი“ – (ხარაგაულის რ-ნი), ძუღური და ლაშიჭალა (ცაგერის

რ-ნი) და სხვ.

მიგაბანია, რომ მდიდარი ბუნებრივი რესურსების – მინერალური წყლების რაციონალური გამოყენება უნდა მოხდეს როგორც სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით, ასევე კერძო სექტორის გააქტიურებით, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით. ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენება, გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, სწორედ ქართველი მეცნიერების აქტიური დახმარებით ფრანგებმა და ჩეხებმა საკუთარი მინერალური წყლები გამოიკვლიერ. ცნობილია, რომ ფრანგი მეწარმეები „ვიშის წყალს“, ფრანგულ ბორჯომშისაც კი უწოდებდნენ.

საქართველოში მინერალური წყლების ბუნებრივი რესურსების პოტენციური მარაგი გაცილებით მეტია, რასაც ადასტურებს გაწული ჰიდრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად წყლის დებეტის სისტემატური ზრდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. თბ., 1984 წ.
2. გ. მაისურაძე მინერალური წყლების სამრეწველო ჩამოსხმის განვითარების და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს რესპუბლიკაში. თბ., 1992.
3. ჭიხკლიძე С.С. Прирооные ресурсы Грузинской ССР \_ АК.Н. 1961.
4. საქართველოს გეოგრაფია. თსუ. 2006 წ.
5. World resources - new york – 2010

გიგა მაისურაძე  
გეონომიკის დოქტორი

## მინერალური წყლების გამოყენების პრობლემები საშართველოში ანოტაცია

სხვა ბუნებრივ რესურსებთან ერთად საქართველოს მინერალური წყლები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ საწარმოო ძალას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკაში.

სტატიაში მოცემულია მინერალური წყლების წარმოების მდგომარეობა და მომავალი განვითარების პერსპექტივები.

*Гига Maisuradze  
Доктор экономики*

## ПРОБЛЕМЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МИНЕРАЛЬНЫХ ВОД ГРУЗИИ

### Аннотация

Среди природных богатств Грузии значительное место занимают минеральные воды, - одна из основных естественных производительных сил, призванная сыграть крупную роль в развитии экономики Республики.

В статье проанализированы состояния производства и намечены мероприятия развитию отрасли.

*Giga Maisuradze  
Doctor of Economics*

## PROBLEMS OF THE USE OF GEORGIAN MINERAL WATERS

### Annotation

Together with other natural resources mineral waters of Georgia represent one of the main productive forces which can play a leading role in the economy of the country.

Dynamics of production is analized and future development goals of this perspective sector are established as well.

## გიზენსი

ნატალია ჭანტურია

ქ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,

თამარ წერეთელი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საფინანსო სამმართველოს სპეციალისტი

### გიზენსის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა ეპონაბაზოს რეკომენდაციების გათვალისწინებით

მონიტორინგი და შეფასება საყოველთაოდ განთხოვდება, როგორც უმნიშვნელოვანების ელექტრონული გარემო (და არა მხოლოდ ეკონომიკური) პროცესების უკეთ მართვის, გაგებისა და შესწავლისათვის. მაღალი სტანდარტის მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ანგარიშება და აუდიტი. იგი იძლევა ფართო და უფრო ღრმა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში ეკონომიკური განვითარების პროცესები.

მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსური ბუნება აქვს, თუმცა მათ შორის არსებობს როგორც მჭიდრო კავშირი, ისე არსებითი განსხვავებები.

მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მუდმივად ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს იმის გასაკონტროლებლად, თუ „რა ხდება“ ბიზნესში. შეფასების არსი კი იმაში მდგრამარეობს, რომ პერიოდულად მოამზადოს ნიადაგი გადაწყვეტილების მიღებისთვის, ეკონომიკური (ბიზნესი) პროგრამების ინფორმირებული და უფექტური შემუშავებადგანახლებადგაუმჯობესებისთვის.

შეფასება იყენებს ინფორმაციის დამატებით წყაროებს, ფოკუსირებულია დადგითი ეფექტების ზრდაზე და უსათურო მოითხოვს პოზიციის დაფიქსირებას. კარგი მონიტორინგი (ანუ ხელმისაწვდომობა კარგ, სანდო და განახლებულ ინფორმაციასა და მონაცემებზე) არის ინსტრუმენტი ობიექტური და ჯანსაღი შეფასებისთვის, მაშინ, როცა შეფასება, თავის მხრივ, ხელს უწყობს მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესებას.

შეფასებას შეუძლია უპასუხოს კითხვაზე: ხორციელდება თუ არა მართვბული ღონისძიებები და რამდენად მართვებულია მათი გატარება. სათანადო პასუხების გაცემით ან გამოვლენილი პრობლემებითა და მოდიფიცირების აუცილებლობებით, შეფასება უზრუნველყოფს და „კვებაზე“ შესაბამისი ბიზნეს-სტრატეგიებისა და პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას, ეხმარება მმართველობის სხვადასხვა დონეს ობიექტური ცოდნის დაგროვებაში.

ამგვარად, შეფასებას შეუძლია როგორც ერთგვარი „ადვოკატირების“ ფუნქციის შესრულება, ისე, დაწყებულ პროცესებში ინსტიტუციების ეფექტურობის გაზრდა.

ბიზნეს-გადაწყვეტილების მიმღებთათვის, შეფასება წარმოადგენს რესურსების განსაზღვრისა და გადანაწილების, აგრეთვე ძირითადი მოთამაშების ანგარიშების პროცესის (მიღწეული შედეგების) საერთო ფორმატში წარმოდგენის საფუძველს. ადნიშნული აძლიერებს გადაწყვეტილების მიმღებთა შესაძლებლობას უზრუნველყონ/გაგრძელონ ინვესტიციება იმ ღონისძიებების განხორციელებაში, სადაც შეიმჩნევა/მიღწეულია სასურველი ეფექტი და მოახდინონ იმ ღონისძიებების რევიზია, რომლებშიც ინვესტიციების შედეგად დადებითი ეფექტები ვერ იქნამიღწეული.

ბიზნესის შეფასება ეფუძნება სანდო, სწორ და განახლებულ ინფორმაციასა და მონაცემებს. ამ სახის მონაცემები ცნობილია, როგორც ე.წ. პირველადი მონა-

ცემები (მაგალითად, პროექტის ხარჯვითი ანგარიშები). შეფასებისას, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეწ. მეორადი მონაცემები, რომლებიც მზადდება პროგრამისგან დამოუკიდებლად (მაგალითად, საჯარო ინსტიტუციის მიერ შეგრვებული და გადამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია).

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე, მონიტორინგისა და შეფასების კავშირის მთავარი ასპექტების შეჯამება იძლევა საშუალებას დავისკვნათ, რომ, ერთის მხრივ, შეფასება ხელს უწყობს მონიტორინგის სისტემის არქიტექტონიკის ჩამოყალიბებას როგორც კონცეპტუალური (რა კითხვები უნდა იქნეს დასმული და რა სისტემით), ისე ტექნიკური გაგებით (რა სახის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა არის ყველაზე შესაფერისი და ვინ უნდა აკონტროლოს ის), ხოლო მეორე მხრივ, მონიტორინგის სისტემა ისეა ჩამოყალიბებული და მართული, რომ განახლებები და მოდიფიკაცია მაქსიმალურად უნდა ემთხვეოდეს ბიზნეს-პროგრამისა თუ პროექტის ციკლში გაკეთებულ შეფასებებსა და გადაწყვეტილებების მიღების მომენტს.

გარდა ამისა, შეფასება არის მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტი. მტკიცებულებებზე დამყარებული ბიზნეს-პოლიტიკა და შეფასება, როგორც შესაბამისი პოლიტიკის ინსტრუმენტი, ფართოდ გამოიყენება მრავალი საერთაშორისო მოქმედის, მ. შ. ევროკავშირის მიერ. ასეთი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ბიზნესის პოლიტიკის/პროგრამის ციკლის დეტალურ აღწერას, რაც ორიენტირებულია შეფასების გზით ინიცირებული პოლიტიკის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, შეფასება ასრულებს გადამწყვეტ როლს „მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის“ განვითარებაში, რომელიც განსხვავდება ეწ. „მოსახრებაზე დამყარებული პოლიტიკისაგან“. ამასთან, „მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკა“ არ განიხილება როგორც რთული და ცალსახა კატეგორია, არამედ ის უფრო „გამოცდილების, განსჯისა და ექსპერტიზის სინთეზია, რომელიც გაჯერებულია სისტემური კვლევიდან გამომდინარე საუკეთესო გარე მტკიცებულებით“.

მონიტორინგი და შესაბამისი მონაცემების შეგროვება და აგრეგირება, რომელიც წარმოაჩენს ეკონომიკური (ბიზნეს) პოლიტიკის/სტრატეგიის პროგრესს და შესაძლო წარმატებას, და შეფასება – ამ პოლიტიკის/სტრატეგიის მძაცვად რეალადმენტირებული და სისტემატური შეფასება, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მჭიდროდ არიან ერთმანეთოან დაკავშირებული.

მონიტორინგი არის შეფასებისთვის საჭირო კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება. შეფასებასთან ერთად მონიტორინგი ხორციელდება მუდმივად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ არის იფიციალურად აღიარებული, კოდიფიცირებული და აღრიცხული. სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს მტკიცებულების ფიქსირებადაღიარებას იმგარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი მხედველობაში მიღება და ახალიზი დროის განმავლობაში.

ბიზნესის (ეკონომიკის) საბაზო მდგომარეობისა და პოზიციების ცოდნა ასევე წარმოადგენს უმნიშვნელოვანებს ფაქტორს. მაგალითად, თუ ეკონომიკური პოლიტიკის/სტრატეგიის მიზანი არის დასაქმების გაზრდა, მაშინ მონიტორინგი უზრუნველყოფს დასაქმებისა და უმუშევრობის პირველადი მაჩვენებლების აღრიცხვას ან, როგორც მინიმუმ, პოლიტიკის/სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე, განსაზღვრავს მათ გაზიმვადობას (ამ შემთხვევაში, დასაქმების), ხოლო შემდეგ აკვირდება დადგენილ პარამეტრს (და ყველა ცვლილებას დეფინიციაში) პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის (ხარჯების უფასებურობა) გატარება მოითხოვს მტკიცებულებებს დასახული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის

ზრდა ან ეკონომიკის დივერსიფიკაცია) გათვალისწინებული ყველაზე ოპტიმალური გზების შესახებ და აგრეთვე იმის დადგენას, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული მაქსიმალური შედეგიანობა და სარგებლიანობა არსებული რესურსების პირობებში. აღნიშნული, ეკროპულ ქვეყნებში, როგორც წესი, ეწ. „პოლიტიკის/სტრატეგიის ციკლის“ (*Policy Cycle*) აღწერის საშუალებით ხორციელდება, რასაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ეს დიაგრამა არის იმ ტიპის ციკლის აღწერილობის ნიმუში, რომელსაც იცნობენ „*ROAMEF*“-ის სახელწოდებით:



**Rationale** - დასაბუთება: თუ რა არის სტრატეგიის/პროგრამის მიზეზი; რამ განაპირობა საჯარო ინტერვენციის აუცილებლობა.

**Objectives** - მიზნები: თუ რა სპეციფიური მიზნების მიღწევა აქვს პროგრამას დასახული.

**Appraisal** - განჭვრება: თუ რომელი ღონისძიებები იქნება ყველაზე ეფექტური ამ მიზნების მისაღწევად.

**Monitoring** - მონიტორინგი: თუ რა საშუალებები არსებობს პროგრამის პროგრესის გასაზომად.

**Evaluation** - შეფასება: განსხვავდება თუ არა პროგრამა ეფექტურად და საქმარისად.

**Feedback** - რეაგირება: თუ რა გაკვეთილები იქნა გამოტანილი შედეგად და ვინ უნდა გაითვალისწინოს იგი.

ამ ტიპის ინსტრუმენტი ბრიტანეთსა და კონტინენტური ეკონომიკის სხვადასხვა ქვეყნებში ძირითადად ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) პოლიტიკის/სტრატეგიის/პროგრამის შემუშავების საწყის სტადიაზე გამოიყენება, რაც უფრო ამარტივებს მის მართვას და საბოლოო ჯამში, შეფასებას.

აღნიშნული ინსტრუმენტი ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ინიცირებული პოლიტიკის მიმართ მაღალ სანდოობას. ამასთანავე, ის დროთა განმავლობაში საშემფასებლო კვლევების პროცესის დახვეწისა და განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

შეფასების ეფექტურობისათვის უმნიშვნელოვანესია მისი ოპტიმალურად მისადაგება მონიტორინგის სისტემასთან, რაც შესაძლებელს ხდის:

- სათანადო მონიტორინგის აღრიცხვას პოლიტიკის (პროგრამის) განხორციელების დაწყებამდე ან მისი განხორციელების პროცესში;
- პარამეტრებისა და შესრულების მაჩვენებლების ცვლილების შესახებ დროულ ინფორმირებას პოლიტიკის (პროგრამის) განხორციელების პროცესში.

საჯარო ინსტიტუციების ჩარევა ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში, როგორც წესი, განპირობებულია ბაზრის ჩაგარდნებით. ასეთ დროს, ეკონომიკური პოლიტიკის (სტრატეგიის) განხორციელების ციკლის ანალიზს შეუძლია იმ კონკრეტული მიზეზების დადგენა, რამაც განაპირობა მმართველთა ჩარევა და შესაბამისი პოლიტიკის/სტრატეგიის/პროგრამის მიზნების ერთობლიობის განსაზღვრა. შეფასების სპეციფიკური ინსტრუმენტი სწორედ ამ დროს იქცევა ერთგვარი დისკუსიის საშუალებად, დისკუსიისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს დასახული მიზნების მიღწევის პატიმალური გზები, განჯვრეტა-პროგროზირების პროცესისა და კომპლექსური შეფასების მეთოდების აქტიური გამოყენებით.

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის კომპლექსური გამოყენებით არის შესაძლებელი პოლიტიკის ოპტიმალური განხორციელება პოლიტიკის განხორციელების პროცესშივე.

მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მენეჯმენტისა და მართვის მიზნებისათვის ბევრად უფრო პროდუქტიული და გამოსადეგია „დინამიური“ სტრატეგიები და პროგრამები. ასეთი სტრატეგიები (განსხვავებით ხისტი „იერარქიული დაგეგმვისა“ და განხორციელების პროცესისაგან) ექვემდებარება რეგულარულ მოდიფიცირებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვლილებების ტემპის და კომპლექსურობის ზრდის დროს, როცა იქმნება ბევრი გამოწვევა დაკავშირებული ლიდერების უნარ-ჩვევებთან, მათ შორს შეკვერცველობასთან, პოლიტიკის/სტრატეგიის სენიტიურ საკითხებთან, რესურსების დანადობასა თუ შეზღუდულობასთან. უცხოეთის იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც აქტიურად გამოიყენება მტკიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკა და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი, ადასტურებს, რომ სწორედ ასეთი პრაქტიკის გამოყენება არის ყველაზე შედეგიანი, ეფექტური და ეკონომიური გზა წარმატებული სტრუქტურული ცვლილებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეფასების განხორციელებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური და ბიზნეს პოლიტიკის მიზნების ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრას მათი შემუშავებისა და დაგეგმვის საწყის (ტექნიკურ ფაზაში) ეტაპზე. მხოლოდ ამგარად ექვემდებარება ყველა სტრატეგია, პროგრამა თუ პროექტი ეფექტურ შეფასებას.

დიდ ბრიტანეთში დიდი ხნის წინ პარობირებული შესაბამისი ტექნიკური მოდელი დ „SMART“ აბებად ფართოდ გამოიყენება ეპროკავშირის ქვეყნებში, და მართველობის როგორც ეროვნულ, ისე სუბნაციონალურ ღონეებზე სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავების დროს. ამ მოდელის საფუძველზე, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას მისი მიზნები იმგვარადა ფორმულირებული, რომ ისინი იყოს: ა) კონკრეტული (*Specific*), ბ) გაზომვადი (*Measurable*), გ) განხორციელებადი (*Achievable*), დ) რელევანტური (*Relevant*) და ე) დროში გაწერილი (*Time bound*).

შესაბამისი საერთაშორისო მაგალითებისა და წეაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ ზემოთ აღნიშნული მიღვომის (პოლიტიკის მიზნების ცხადად განსაზღვრა საწყის ეტაპზე) უგულებელყოფისას, შეფასება ხშირად ბუნდოვანია

და არ არის ადეკვატური. დაბალი ხარისხის შეფასება კი ამცირებს ობიექტურ მტკიცებულებაზე დამყარებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და რესურსების ეფექტური განაწილების შესაძლებლობას, ზრდის მონიტორინგის მონაცემების და შეფასებით განაირობებული დასკვნების არასწორი ინტერპრეტაციის აღბათობას და ხელს უშლის მიზნობრივი დადებითი ეფექტის მიღებას.

ეკონომიკური (ბიზნეს) პოლიტიკა, სტრატეგია, პროგრამა და პროექტი მიუხედავად მისი განხორციელდების მასშტაბისა და დონისა, მიზნად ისახავს ცვლილების განხორციელებას.

ობიექტური შეფასების განხორციელება დაკავშირებულია რამდენიმე ეტაპთან. პირველ რიგში, შეფასების კარგი პრაქტიკის დანერგვა გულისხმობს შესრულების ინდიკატორების შესახებ მონიტორინგის ინფორმაციის კომბინირებას შეფასებასთან, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს მონიტორინგის მონაცემებს და აკავშირებს მიზეზებს შედეგებთან. მონიტორინგის და შეფასების ელემენტები თავს იყრიან ერთ სისტემაში, ჩარჩოში, რომელიც ყალიბდება პოლიტიკის ციკლის საწყის სტადიაზე. **შეფასების ინსტრუმენტი, უპირველესად, მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა:**

- ეკონომიკური (ბიზნეს) პოლიტიკის (სტრატეგიის) მიზნები;
- საბაზო პირობების აღწერილობა/მონაცემები;
- წვლილი/შენატანი (ფინანსური და ადამიანური რესურსები)

**პოლიტიკის განსახორციელებლად;**

- ღონისძიებები პოლიტიკის განსახორციელებლად;
- შედეგები; ფართო, გრძელვადიანი ეფექტი; ზემოქმედება.

პროექტის (ან ცალკეული პროგრამის) კომპონენტების სტრუქტურიზების და მისი ანალიზის მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისათვის, ასევე, ევროკავშირის ქვეყნების მიერ პტერულ გამოიყენება ეწ. „ლოგიკური ჩარჩოს“ ტექნიკური მოდელი, რომელიც არსებითად წარმოადგენს პროექტის შიდა ფუნქციონირების, მისი მიზნების მიღწევის ვერიფიცირების საშუალებების და წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების ამსახავ მატრიცას.

ეს არის პროექტის ეფექტიანობის ანალიზის საკმაოდ აპრობირებული შეთოდი, რომელიც შეისწავლის ლოგიკურ კავშირებს პროექტის ელემენტებს/საშუალებებსა და მის შედეგებს შორის. პროექტის პროგრესის შესაფასებლად, „ლოგიკური ჩარჩოს“ მეთოდი გულისხმობს მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. მაგალითად, დასაქმებასთან დაკავშირებული მიზნის მისაღწევად, წვლილი (Input) შეიძლება იყოს ფინანსები და ადამიანური რესურსები დასაქმების მაძიებელთათვის საკონსულტაციო მომსახურების შესაქმნელად. ღონისძიება, რომელიც თან სდევს აღნიშნულს, შეიძლება იყოს დასაქმების მაძიებელთა ინტერვიუების, მათი კონსულტაციების რაოდენობა. ამის შედეგი (output) შეიძლება იყოს დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. ფართო ეფექტად (outcome) კი შესაძლებელია განხილულ იქნეს რეგიონული დასაქმების მაჩვენებლების ფარდობითი ცვლილება, რასაც, თავის მხრივ, მზარდი გავლენა აქვს ეკონომიკაზე (მშპ-ს მაჩვენებლები).



ნახ. „ლოგიკური ჩარჩოს“ მოდელი

ეს დიაგრამა წარმოაჩენს გადაწყვეტილების მიმღებების კონტროლის ხარისხს „ლოგიკური ჩარჩოს“ თითოეულ კომპონენტზე. კერძოდ, მისი პირველი შრე გვიჩვენებს, რომ კონტროლის დიაპაზონი წვლილის (შენატანის) კომპონენტზე არის საკმაოდ დიდი, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებებს აქვთ არჩევანი გადაწყვიტონ, სად უნდა მოახდინონ ინცესტირება.

ცხრილის მეორე შრე გვიჩვენებს გადაწყვეტილების მიმღებების კონტროლის ასევე ფართო დიაპაზონს და ამასთანავე, წვლილის მაღალ კორელაციას მომსახურებასა და პროდუქტებთან, ანუ ღონისძიებების შრესთან. ეს ეტაპი პირველი შრისგან ძირითადად განსხვავება იმით, რომ ის შეიცავს თანადაფინანსების და სხვა მონაწილეების არსებობის შესაძლებლობას.

შემდგომი შრე, რომელიც წარმოაჩენს შედეგებს, ცხადყოფს, რომ ამ ეტაპზე კონტროლის ხარისხი მცირდება, რაც აისხება სხვა ფაქტორების (კონტროლს მიღმა მყოფი ბაზრის ძალა, გარე ფაქტორები და მოვლენები) არსებობით. შესაბამისად, კონტროლის დიაპაზონი კიდევ უფრო მცირდება შემდგომ ეტაპზე სხვა ფაქტორების როლის ზრდის გამო.

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება „ლოგიკური ჩარჩოს“ ელემენტები ზე-მოაღწერილი თანმიმდევრობით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შემდგომ ეტაპად განიხილება მისი სტრუქტურიზებული გარდასახვა სპეციალურ ჩარჩო-მატრიცაში. ანალოგიური მატრიცები ტიპურია ევროკავშირის ბევრი ქვეენისთვის და როგორც შესაბამისი გამოცდილება გვიჩვენებს, მათი შემუშავებისას ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მოქნილობა და დინამიზმი, ვიდრე სიხისტე და მკაცრი რეგლამენტაცია.

და ბოლოს, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების საუკეთესო პრაქტიკის დასახელებად, არსებული აგრორიტეტული წყაროებიდან, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ევროკავშირის შეფასების განხორციელების პრაქტიკული რჩევების კრებული, ე.წ. შეფასების განხორციელების „ოქროს 10 წესი“. შეფასების განხორციელების „ოქროს 10 წესი“ სოციალ-ეკონომიკური განვითარების შეფასების ძირითად საკითხებს ეძღვნება. მათი გათვალისწინების შედეგიანობა შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და გამოყენების ეტაპებზე დადასტურებულია მდიდარი საერთაშორისო გამოცდილებით. ეს წესები ფორმულირებულია შემდეგნაირად:

1. მსედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ შეფასება ხდება არა საკუთრივ შეფასებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მოხდეს მოქმედი პროგრამისა და პოლიტიკის გაუმჯობესება. შეფასების დაგეგმვისას, ყოველთვის უნდა არსებობდეს კითხვა: რა დადებითი გავლენა ექნება მიღებულ შედეგებს მოქალაქეთა

ცხოვრებაზე რეგიონების კეთილდღეობაზე, ეკონომიკური აგენტებისა და მო-  
თამაშების კონკურენტუნარიანობაზე. თუ ამ კოთხეზე დადგინდეთ პასუხი არ  
არსებობს, უმჯობესია, კიდევ ერთხელ დაფიქრება იმაზე, თუ რამდენად საჭი-  
როა შეფასება.

2. შეფასების ციკლები უნდა ემთხვეოდეს პროგრამების და სტრატეგი-  
ების ციკლებს. ამ გზით შესაძლებელი იქნება შეფასების მაქსიმალური შედე-  
გიანობის უზრუნველყოფა. უმჯობესია, დროულად ჩაბარდეს თუნდაც ნაწილობ-  
რივი, დაუსრულებელი ან არასრულყოფილი შეფასება, ვიდრე 10%-ით  
გააუმჯობესოთ შეფასების ხარისხი და ხელიდან გაუშვათ შესაძლებლობა, რომ  
შეფასების შედეგები პოლიტიკის შემმუშავებლებმა და პროგრამების მენეჯ-  
რებმა გამოიყენონ.

3. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მაგალითად, პოლიტიკის შემ-  
მუშავებელ სუბიექტებს, მენეჯერებს და მოქალაქეებს შეფასებასთან დაკავ-  
შირებით სხვადასხვა მოლოდინები აქვთ. თუ მთავარი დაინტერესებული მხარის  
ინტერესი არ იქნება გათვალისწინებული, ეს საგარაულო, შეფასებას ნაკ-  
ლებად შედეგიანს გახდის იმის გამო, რომ სტრუქტურა/მოდელი ცუდად იყო  
შერჩეული ან იმის გამო, რომ შედეგები ნაკლებად სანდო იქნება. პოლიტიკის  
შემმუშავებელთა და პროგრამებზე პასუხისმგებელ პირთა ჩართვა შეფასების  
პროცესში აუცილებელია იმ მიზნით, რომ მათ მიერ მოხდეს შეფასების  
შედეგების სერიოზულად მიღება. აუცილებელია დაინტერესებული მხარეების  
იდენტიფიცირება, იმის გარკვევა, თუ რა არის მათი ინტერესები შეფასების  
ფარგლებში და მათი ჩართულობა პროცესში.

4. შეფასება ინტეგრირებული უნდა იყოს პროგრამების დაგეგმვისა და  
მართვის პროცესთან. პროგრამების მენეჯერებისათვის შეფასება უნდა წარ-  
მოადგენდეს ერთგვარ წეაროს, შესრულების გაუმჯობესების ინსტრუმენტს,  
პრობლემების (მათი გადაწყვეტის გზების) ადრეულ შეტყობინებას და ცოდნის  
სისტემურობის და უწყვეტობის უზრუნველყოფას. შეფასება არ უნდა იყოს გა-  
რედან თავსმოხვეული აუცილებლობა. ეს ჰემმარიტება გულისხმობს იმას, რომ  
შემფასებლებს მოუწევთ პროგრამის მენეჯერების სტრუქტურის და მიმდინარეობის  
წესრიგში დაყენება და რთულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

5. იმისათვის, რომ მოხდეს სხვადასხვა პროფესიონალების მიერ ჩატა-  
რებული სამუშაოს თავმოყრა, აუცილებელია კავშირების დამყარება და გუნდის  
შექმნა. კავშირები უნდა დამყარდეს ეროვნულ, რეგიონულ და ეკონომიკულ (ს-  
აერთაშორისო) დონეზე შეფასების ექსპერტებს, სოციალურ მეცნიერებს, ეკო-  
ნომისტებს, პოლიტიკის ანალიტიკოსებსა და მართვის კონსულტანტებს შორის.  
უნდა მოეწყოს კონფერენციები და ხელი შეეწყოს პროფესიული ცოდნისა და  
უნარების გაცვლას. ეს შესაძლებლობების ამაღლების ერთ-ერთი გზაა. მიკრო  
დონეზე პრიორიტეტი იქნება შეფასების გუნდში სხვადასხვა უნარებისა და  
კომპეტენციების კომბინირება.

6. შეფასება არ მდგომარეობს მხოლოდ წარსულის შეფასებაში, წარმა-  
ტებისა თუ წარუმატებლობის გამოვლენასა და ვინმეს დადანაშაულებაში.  
შეფასებას შეუძლია პროგრამის ციკლის ნებისმიერ ეტაპზე თავისი წვლილის  
შეტანა. კერძოდ, საწყის ეტაპზე სწორად შეფასების მეშვეობით შესაძლებელია  
კ.წ. ინტერვენციის ლოგიკის შერჩევა და პროგრამის დიზაინის სუსტი მხარეების  
გამოვლენა, რაც, თავის მხრივ გამოსწორების საშუალებას იძლევა.

7. უკვე აღარ არის მიღებული დიდი რაოდენობით მონაცემების შეგ-  
როვება იმ იმედით, რომ მათი საშუალებით მოხერხდება შეფასების პროცესში

გაჩენილი ყველა კითხვისათვის პასუხის მოძიება. მონაცემებით გართულებული მანიპულირება თითქმის ყოველთვის წარუმატებელია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მონაცემთა ერთობლიობა უმნიშვნელოა საწყის ეტაპზე ისინი აუცილებლად საჭიროა. თუმცა, უფრო ნათელი დაშვებებით, ხელმისაწვდომი ოპრის გამოყენებით და უფრო ცალსახა წარმოდგენით იმის შესახებ, თუ რა ტიპის შეფასებაა საჭირო, შეფასება უფრო ფოკუსირებული და ეფექტიანი იქნება.

8. პოლიტიკის/სტრატეგიის საერთო კონტექსტი ის აუცილებელი ჩარჩოა, რომლის გათვალისწინებით უნდა მოხდეს შეფასება. პოლიტიკები და/ან მათი განხორციელების გზები და მეთოდები, რა თქმა უნდა, ხშირად იცვლება; შესაბამისად, საჭიროა მიმდინარე ცვლილებებზე, დებატებსა და გადაწყვეტილებებზე თვალყურის დევნა იმისათვის, რომ მოხდეს შეფასების სტრატეგიულ პრიორიტეტთან სინოეზირება.

9. ზემო (პუნქტი 3) უკვე აღინიშნა შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის მნიშვნელობა, მაგრამ სოციალ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს მნიშვნელოვანი და ხშირად უგულვებელყოფილ ჯგუფებს: პროგრამის საბოლოო ბენეფიციარებს. ამ უკანასკნელთა – ადგილობრივი თემების, მარგინალიზირებული ჯგუფების და ახალი ეკონომიკური ერთეულების – შეფასებაში ჩართვა შეოლოდ მათი აზრის გამოყითხვას არ გულისხმობს. იგი ასევე გულისხმობს იმას, რომ მათი კრიტერიუმები და მოსაზრებები აუცილებლად ინკორპორირებულია შეფასებაში და პროგრამის ინტერვენციის ერთადერთი არგუმენტი ისაა, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან ისინი და რა სარგებელი ექნებათ პროგრამის შედეგად. ეს მიღვომა ახლოსაა ქვემოდან-ზევით, თანამონაწილეობრივ და დეცენტრალიზირებულ მიღვომებთან, რომლებიც დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომაცა, რომ თანამონაწილეობითი მეთოდები შემფასებლების მიერ საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

10. პრაგმატიზმი აუცილებელი კატეგორიაა! ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც რესურსები შეზღუდული რაოდენობითაა, ადმინისტრაციული ერთეულები ყოველთვის ეფექტურად ვერ მუშაობენ, ცოდნაც არაერთფეროვანია და მონაცემები ხშირად არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, საჭიროა ნელ-ნელა წინ სვლა, მუშაობის პროცესში იმის გამოყენება, რაც ხელმისაწვდომია და თუნდაც ირიბად, მაგრამ მაინც საჯარო პროგრამების ეფექტურობისა და ლეგიტიმურობის გაზრდა. მცირე შედეგებმაც კი შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიგანოს; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასახულია შორს მიმავალი მიზნები შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მომავალში უფრო ამბიციური და მასშტაბური შეფასების პროექტების განხორციელებას.

### გამოყენებული დიტერატურა

1. მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო. საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017წ. სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის (რსსგ) განხორციელებისათვის. სახელმძღვანელო მომზადდა პოლონეთის დახმარების პროგრამის „მცირე გრანტები, 2010“ ფარგლებში. 2010. 108 გვ.
2. *кузнецов а.и., методика проведения обследования бизнес-процессов компаний. 2010*

3. ინტერნეტ-რესურსები:
4. [http://www.iteam.ru/publications/it/section\\_51/article\\_1469/](http://www.iteam.ru/publications/it/section_51/article_1469/)
5. [http://ec.europa.eu/regional\\_policy/sources/docgener/evaluation/evalsed/guide/development/rules\\_en.htm](http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/evaluation/evalsed/guide/development/rules_en.htm)

**ნატალია ჭანტურია  
გმრ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ბიზნეს-ინიციატივის ფაკულტეტი,  
თამარ წერეთელი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საფინანსო სამმართველოს სპეციალისტი**

**პირველი მონიტორინგისა და შევასების ზოგიერთი მთავრობის  
სრულყოფა ეპროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით  
ანოტაცია**

მონიტორინგი და შეფასება საყოველთაოდ განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანების ელემენტი ეკონომიკური და ბიზნეს - პროცესების უკეთ მართვის, გაგებისა და შესწავლისათვის. კარგი მონიტორინგი (ანუ ხელმისაწვდომობა კარგ, სანდო და განახლებულ ინფორმაციასა და მონაცემებზე) არის ინსტრუმენტი ობიექტური და ჯანსაღი შეფასებისთვის, მაშინ როცა შეფასება, თავის მხრივ, ხელს უწყობს მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესებას.

შეფასებას შეუძლია უპასუხოს კითხვაზე: ხორციელდება თუ არა მართვბული დონისძიებები და რამდენად მართებულია მათი გატარება. სათანადო პასუხების გაცემით ან გამოვლენილი პრობლემებითა და მოდიფიცირების აუცილებლობებით, შეფასება უზრუნველყოფს და „კვებავს“ შესაბამისი ბიზნეს-სტრატეგიებისა და პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას, ესმარება მმართველობის სხვადასხვა დონეს ობიექტური ცოდნის დაგროვებაში.

**Наталья Чантурия  
Кандидат экономических наук,  
Технический университет Грузии,  
Тамар Церетели  
Государственный университет им. Ильи**

**Совершенствование методологии мониторинга и оценки бизнеса с учетом  
рекомендации Евросоюза  
Аннотация**

Мониторинг и оценка по праву считаются самыми важными элементами изучения, понимания и управления экономических и бизнес-процессов. Мониторинг проведенный на высоком уровне (например, доступ к хорошей, надежной и обновленной информации и базе данных) представляет собой инструмент для объективной и разумной оценки, в то время как оценка, в свою очередь, способствует улучшению процесса мониторинга. Оценка может ответить на вопрос: принимаются ли соответствующие решения и насколько они правомерно реализовываются. Целесообразностью реагирования на выявленные проблемы и необходимостью корректировки, оценка

обеспечивает финансовую поддержку бизнес - стратегиям и программам, помогая накапливать и реализовывать различные уровни объективных знаний.

*Natalia Tchanturia  
Georgian Technical University  
Faculties of Business-Engineering,  
Tamar Tsereteli  
Ilia state University,  
financial Specialist at Finance Department*

**IMPROVEMENT OF THE METODOLOGY OF MONITORING AND EVALUATION  
OF THE BUSINESS TAKING INTO ACCOUNT EUROPEAN UNION  
RECOMMENDATION**

**Annotation**

Monitoring and evaluation by right are considered as the most important elements of studying, understanding and management economic and business processes. Monitoring carried out at high level (for example, access to a good, reliable and updated information and a database) represents the tool for an objective and reasonable evaluation while the evaluation, in turn, improves the monitoring process. The evaluation can answer the question: whether the relevant decisions and as far as they legally are implemented are made. Expediency of response to the revealed problems and need of adjustment, the evaluation provides financial support business - strategy and programs, helping to accumulate and realize various levels of objective knowledge.

მაბისტრანციულისა და ღოზტორანციულის სამეცნიერო ნაშრომები

**გარიამ ჯიბუტი**

ივ. ჯავახიშვილის თხუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

პირველი სოციალური პასუხისმგებლობა სამართველოში

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გლობალური მნიშვნელობის საკითხია. იგი ხელს უწეობს ერთის მხრივ კომპანიათა კონკურენტურიანობის ამაღლებას, ხოლო მეორეს მხრივ ძალების ეკონომიკურ განვითარებას. „ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას“ აშშ-ს წამყანი კორპორაციების გაერთიანება შემდეგნაირად განმარტავს: „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის წარმოება იმგვარად, რომ კომპანიამ დააგმაყოფილოს და გადააჭარბოს კერძო სექტორის მიმართ წაყვნებულ ეთიკურ, სამართლებრივ, კომერციულ და საზოგადოებრივ მოღლოდინებს“. ხოლო ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის, გორდონ ბრაუნის განმარტებით იგი აღარ წარმოადგენს საქველმოქმედო საქმიანობაზე თანხის გაღებას ფინანსური წლის ბოლოს. ის არის კომპანიის მუდმივი პასუხისმგებლობა გარემოზე, უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნა, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და ეფუძნება იმის გაცნობიერებას, რომ კომპანიის იმიჯი დამოკიდებულია არა მხოლოდ კროდუქციის ფასსა და ხარისხზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ურთიერთქმედებს კომპანია თავის თანამშრომლებთან, საზოგადოებასთან და გარემოსთან. ამგვარად, სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს არა მხოლოდ ყველა არსებული კანონის დაცვას, არამედ დაინტერესებულ მხარეებთან დაილოგს, „კანონის მიღმა“ ვალდებულებების აღებასა და დაქმაყოფილებას.


განასხვავებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის 3 დონეს [1]:

1. პირველი დონე – გადასახადებისა და ხელფასების დროული გადახდა და სამუშაო ადგილების შექმნა;


2. მეორე დონე – მუშაკთა არამხოლოდ მუშაობის უზრუნველყოფის არამედ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას: მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და სხვა;

3. მესამე დონე (უმაღლესი დონე) გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

ქართული ბიზნესისა და მოსახლეობის შეხედულებები იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, წარმოდგენილია საქართველოში ჩატარებული ორი კვლევის შედეგად: 1. „თბილისის მსხვილი ბიზნესი და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“, 2. „საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და მოღლოდინი“. 1. პირველი კვლევის მიზანი იყო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მსხვილი კომპანიების მენეჯმენტის დამოკიდებულების განსაზღვრა და კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმებისა და მასსტაბის ანალიზი. გამოკითხულ კომპანიათა 85%-მა ჩათვალა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის ჩამოყალიბებისათვის. 2%-მა ჩათვალა, რომ არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო 14%-მა ჩათვალა, რომ მეტნაკლებად მნიშვნელოვანია.




სოციალური პასუხისმგებლობის გავლენას კომპანიაზე მენეჯერები 10 ქულიან სკალაზე შემდეგნაირად აფასებენ:




მოსახლეობა კი „იდეალური კომპანიის“ მახასიათებლად ხარისხიანი პროდუქციის წარმოების შემდეგ, საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმიანობების განხორციელებას თვლის.

### მოსახლეობის ხედვა




კომპანიებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს თავიანთ ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან კავშირში, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ეს კვლევა ჩაგატარეთ TBC ბანკის მაგალითზე. პირველ ნახაზზე მოცემულია TBC ბანკის წმინდა შემოსავლები 1999-2012 წლებში, ხოლო მეორე დიაგრამაზე კი სოციალურ პასუხისმგებლობაზე გაწეული ხარჯები ამავე პერიოდში. ჩაგატარეთ ეკონომისტის ანალიზი.

## TBC ბანკის წმინდა შემოსავლები (1999-2012წლებში)



ნახ. 1. TBC ბანკის წმინდა შემოსავლები 1999-2012 წლებში.

## TBC ბანკის სოციალური პასუხისმგებლობა (1999-2012 წლებში)



ნახ. 2. TBC ბანკის სოციალური პასუხისმგებლობა 1999-2012 წლებში.

თუ მოცემულ მონაცემებს შემდეგ ფორმულებში ჩავსვავთ:

$$Y = \alpha + \beta X \quad \hat{Y} = a + bX \quad a = \bar{Y} - b \bar{X} \quad b = \frac{COV(X, Y)}{VAR(X)}$$

$$COV(X, Y) = \frac{1}{n} \sum (x - \bar{x})(y - \bar{y})$$

$$VAR(X) = \frac{1}{n} \sum x^2 - \bar{x}^2$$

მივიღებთ რეგრესიულ მოდელს:  $\hat{Y} = -72.63473 + 0.152186X$ , რისი გადამოწმება EXCEL-ში შეიძლება.

<b>SUMMARY OUTPUT</b>				
<b>Regression Statistics</b>				
<b>Multiple R</b>	0.878473021			
<b>R Square</b>	0.771714849			
<b>Adjusted R</b>	0.748886334			
<b>Standard E</b>	15.73261402			
<b>Observati</b>	14			
<b>ANOVA</b>				
	<b>df</b>	<b>SS</b>	<b>MS</b>	<b>F</b>
<b>Regression</b>	1	8367.215783	8367.216	4.97098
<b>Residual</b>	10	2475.15144	247.5151	
<b>Total</b>	11	10842.36722		
	<b>Coefficients</b>	<b>Standard Error</b>	<b>t Stat</b>	<b>P-value</b>
<b>Intercept</b>	-72.63573759	6.027168409	1.657678	0.128376
<b>X Variable</b>	0.152185667	5.678295057	5.814195	0.00017

სადაც INTERCEPT აღნიშნავს ა კოეფიციენტს, ხოლო X Variable 1 გვიჩვენებს ხ კოეფიციენტს. გაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ  $a=-72.63473$ , ხოლო  $b=0.152185$ . სწორი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავწყვიტეთ რეგრესიული მოდელის ვარგისიანობის შემოწმება. რადგან F აღმოჩნდა F კრიტიკულზე მეტი ( $4.970988 > 4.67$ ), ამიტომ ჩავთვალეთ, რომ აღნიშნული მოდელი ვარგისია და ჩამოვაყალიბეთ სამი დასკვნა: 1. ხოციალურ პროექტებზე გაწეული ხარჯები წმინდა მოგების პირდაპირპროპორციულია, რადგან ხ კოეფიციენტი დადგებოთა;

2. თუ TBC ბანკი ბიზნესის ხოციალურ პასუხისმგებლობაზე დანახარჯებს არ გაწევდა მას წმინდა მოგების ნაცვლად ექნებოდა ზარალი 72 634 730 ლარის ოდენობით; 3. თუ TBC ბანკი დანახარჯებს გაზრდის 1000 ლარით, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში წმინდა მოგება გაიზრდება  $0.152186 \times 1000 = 152.186$  ლარით, რაც საქმარე კარგი შედეგია.

საქართველოში ბიზნესის ხოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დამაბრკოლებლად გამოიკვეთა მრავალი ფაქტორი: ინფორმირებულობის არასაკმარისი ხარისხი, გამოცდილებისა და ცოდნის სიმწირე ხოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სფეროში; ხოციალური პარტნიორობის დროს ინტერესთა კონფლიქტი და PR ინტერესები, უნდობლობა პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ, ხოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობი გარემოებების არარსებობა, ეკონომიკური სტიმულების, მხარდაჭერისა და წახალისების არ ქონა საქმიანობის განვითარებისათვის (ხშირად ხოციალური პროექტები გაძრებულ ხოციალურ პოლიტიკას არ ეფუძნება და მათ ერთჯერადი ხასიათი აქვთ).

საქართველოში ბიზნესის ხოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთ გზად შეგვიძლია მივიჩნიოთ თავისუფალი საგარეო ხელშეკრულებების გაფორმება. მაგ, კანადის მიერ კოლუმბიასა და პერუსთან ხელმოწერილი „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“ მოიცავს ხოციალური პასუხისმგებლობის განვითარებასთან დაკავშირებულ პირობებს, რომლებიც მიმართულია პარტნიორ ქვეყნებში ხოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისაკენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოსახლეობა და ბიზნესი ამგვარ პასუხისმგებლობას მხოლოდ მსხვილ ბიზნეს კომპანიებს აგისრებს, რადგან მცი-

რე კომპანიები საკუთარ თავზე დამატებით პასუხისმგებლობას არ იღებენ. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ქართულ მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიწოდების ჯაჭვში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურე

1. ჩოხელი ქ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013, გვ.57-61.
2. Griffin R.W., Pustay M.W., International business., New Jersey., Inc.2001.
3. Daft R.L., Management., The Dryden Press., 2006.
4. TBC ბანკის ფინანსური ანგარიშები და სოციალური პროექტები.

### გარიამ ჯიბუტი

ივ. ჯავახიშვილის თხუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

### პირველი სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არსი და დონეები. გაანალიზებულია ქართული ბიზნესისა და მოსახლეობის შეხვდულებები იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. თ ჩ ბანკის მაგალითზე ჩატარებულია კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს ბანკის მიერ სოციალურ პროექტებზე გაწეული ხარჯები მისი შემოსავლის ზრდაზე. კერძოდ, ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ თუ TBC ბანკი ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე დანახარჯებს არ გასწევდა, მას წმინდა მოგების ნაცვლად ექნებოდა ზარალი 72 634 730 ლარის ოდენობით, ხოლო თუ TBC ბანკი სოციალურ პროექტებზე დანახარჯებს გაზრდის 1000 ლარით, მაშინ მისი წმინდა მოგება გაიზრდება 152.186 ლარით. ნაჩვენებია, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ქართულ მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიწოდების ჯაჭვში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

**Мариам Джибути**

студентка Тбилисского государственного университета  
им Ив. Джавахишвили

## **СОЦИАЛЬНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ БИЗНЕСА В ГРУЗИИ**

### **Аннотация**

В работе рассмотрены сущность социальной ответственности грузинского бизнеса и его уровни. Приведен анализ взглядов грузинского бизнеса и населения о воздействии социальной ответственности бизнеса на деятельность компаний. На примере ТБС Банка проведено исследование влияния затрат Банка на социальные проекты на рост доходов Банка. В частности, на основании эконометрического анализа установлено, что если бы Банк не расходовал деньги на социальную ответственность бизнеса, вместо полученной чистой прибыли, у Банка были бы убытки, в размере 72,634,730 лари, а если банк увеличит расходы на социальные проекты, его чистая прибыль увеличится на 152,086 лари. Показано, что развитие социальной ответственности бизнеса позволит малым и средним предприятиям Грузии включиться в каналы поставок крупных многонациональных компаний, что, в свою очередь, будет способствовать развитию экономики Грузии.

**Mariam Jibuti**

*Student of TSU*

## **SOCIAL RESPONSIBILITY OF BUSINESS IN GEORGIA**

### **Annotation**

Work provides discussion of the substance and levels of social responsibility of business, analyses views of the business and population about impact of social responsibility of business on the company's activities. Research was conducted based on the example of TBC Bank and dealt with the impact of the Bank's costs made for the social projects on growth of its revenues, in particular, on the basis of econometric analysis, it was established that if TBC Bank has not funded the social projects, instead of net profit, it would have losses of GEL 72.634.730 and if TBC Bank increases its expenses for social projects, its net profit would increase by GEL 152.186. Work demonstrates that development of social responsibility of business would allow small and medium-size companies in Georgia to enter the supply chain of the large multinational companies, what, as such, would significantly contribute to development of Georgian economy.

## მილოცვა

### ეპონომისტ მეცნიერებათა დოქტორი როლანდ სარჩიმელია იშგილარია



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაბრა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ბატონ როლანდ სარჩიმელიას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 55 წელი შეუსრულდა.

ბატონი როლანდი დაიბადა ქალაქ სენაკში. აქვე წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და 1952 წელს სწავლა განაგრძო ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი გამოიხინა როგორც განათლებულმა და ნიჭიერმა სტუდენტა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონმა როლანდმა სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების განყოფილებაში უციროს მეცნიერთანამშრომლად. იყო სათვლელ-პერფორაციული მანქანების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების განყოფილებაში. 1969 წელს ქალაქ კიუვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წელს გამოყენებით მატემატიკის ინსტიტუტში კონკურსის წესით არჩეულ იქნა რიცხვითი მეთოდების განყოფილების უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1973 წლიდან ბატონი როლანდი მუშაობს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ წრფივი და დისკრეტული პროგრამირების ჯგუფის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების განყოფილების გამგედ, სექტორის ხელმძღვანელად, ეკონომეტრიკის განყოფილების გამგედ და ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1998 წელს დაიცვა დისერტაცია და მიიღო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ბატონი როლანდი დღემდე აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწობას პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში.

ბატონი როლანდის მეცნიერული კვლევის თემატიკა ეხება: ოპტიმაზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენების საკითხებს, ეკონომიკური განვითარების და პროგნოზირების პრობლემებს, ოპერაციათა გამოკვლევას ეკონომეტრიკის ელემენტებით, რისკის მართვის საკითხებს და სხვა.

იუბილარი რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილეა. იგი წლების მანძილზე იყო ასპირანტებისა და მაძიებლების სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელთაგან ოთხმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების მიმართულებით.

იგი არის სამეცნიერო ნაშრომების, კრებულების და უურნალ “ეკონომისტის” სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია საქართველოს ლირსების ორდენით და ბრინჯაოს მედლით შენებლობის ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების წარმატებით გამოყენებისთვის.

ბატონი როლანდი წლების მანძილზე მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უხამებდა პედაგოგიურ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

მას გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფიული ტიპის სახელმძღვანელო და ერთი დამხმარე სახელმძღვანელო ოპერაციათა გამოკვლევასა და ეკონომისტიკაში.

ბატონი როლანდი პატივისცემით სარგებლობს ახლობლების, მეობრებისა და თანამშრომლების წრეში და ასაკის მიუხედავად ენერგიულად განაგრძობს შეცნიერულ საქმიანობას. ჟურნალ „ეკონომისტი“-ს რედაქცია, ინსტიტუტის თანამშრომლები და მეგობრები გულითადად ულოცავენ მას საიუბილეო თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი,  
ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქცია

**ეპონომისტის დოკტორს, პროფესორ დაგით პურტანიძეს დაბადებიდან 70 წელი შესრულდა**



ბატონმა დავითმა შესანიშნავი ცხოვრებისეული გზა გაიარა. სადაც კი უსაქმიანია ნიჭიერი, პრინციპული და კეთილი ადამიანის კვალი დაუტოვებია.

იგი დაიბადა 1943 წლის 5 ნოემბერს ხარაგაულში, სოფელ ღორეჯში (კერძოდ ოქონში).

მამა - ალექსანდრე ქურტანიძე წლების განმავლობაში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო დედა – ნინა ნოზაძე დიასახლისი იყო. მათ დიდი როლი შეასრულეს ბატონი დავითის განათლებულ და ზემადალ ადამიანად

ჩამოყალიბებაში.

1950-1960 წლებში ბატონი დავითი სწავლობდა ღორეჯშის საშუალო სკოლაში, რომელიც ვერცხლის მედალზე დაამთავრა. 1960-1962 წლებში მუშაობდა ფიზიკურად ღორეჯშის კოლეგიურნებაში. 1962 წლს მან მისადები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზმებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალისტაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1967 წელს და მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. როგორც ნიჭიერი და წარმატებული სტუდენტი, იგი დატოვებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული პრობლემების განყოფილებაში სამეცნიერო მუშაობისათვის. სულ მაღლე ამ ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც 1967-1969 წლებში მუშაობდა, ჯერ მათემატიკოს-პროგრამისტად, შემდეგ კი უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. 1969-1972 წლებში იგი სწავლობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1972-1973 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, ხოლო 1973-1977 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1977-1978 წლებში ბატონი დავთი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარია. შემდეგ იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1980 წელს გადაჰყავთ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში დაქვირდოთ ჯგუფის ხელმძღვანელად, ხოლო 1983 წელს იგი დაინიშნა თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკურის დირექტორად. 1988-1991 წლებში ბატონი დავითი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტი, 1991-1993 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ტელეკომუნიკაციისა და მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. 1993-1995 წლებში იგი ამთავრებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორას და ოჯახთან ერთად მიემგზავრება ქ. მოსკოვს, სადაც აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობას. 2002 წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის და შემდეგ ფინანსური ანალიზისა და სტატისტიკის პრობლემების განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 2005 წელს ბატონი დავითი აირჩიეს თბილისის საფინანსო-იურიდიული აკადემიის რექტორად.

ბატონ დავითს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ასევე წლების განმავლობაში იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მან სამშობლოს აღუზარდა არაერთი ნიჭიერი სპეციალისტი.

2008 წელს ბატონი დავითი საცხოვრებლად გადადის აშშ-ში, ქ. ნიუ იორკში, სადაც დღემდე აგრძელებს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. იგი იყო ქ. ნიუ იორკში დსთ-ს ქვეყნებიდან იმიგრირებულთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად კი არის ქ. ნიუ იორკში დაფუძნებული გაზეთის „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. საზღვარგარეთ მისი ნაყოფიერი საქმიანობა გამსჭვალულია სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით.

ბატონმა დავითმა მეუღლესთან – ექიმ მანანა ჯანელიძესთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მათ სამშობლოს აღუზარდეს ორი წარმატებული შვილი – ალექსანდრე და დავითი. ამჟამად, მთელი სიყვარულით და მონდომებით, მის შშობლებთან ერთად, ზრდიან შვილიშვილს – მარკს.

ჩვენთვის განსაკუთრებით დასაფასებელია ბატონი დავითის საქმიანობა ჩვენს ინსტიტუტში, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობას ამჟამადაც აგრძელებს. იგი არის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის - „ეკონომისტის“ რედაქტორის მოადგილე უცხოეთში.

ბატონ დავითს მთელი გულითა და სულით ვუდოცავთ ამ დირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი,  
შურნალ „ეკონომისტის“ რედაქცია

## 06ზორმაცია

\*\*\*

უფრნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს უურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეღუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟურნი, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

\*\*\*

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომიკისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთაოვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხელო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო აღგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხელო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის დირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics\_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დაგატებითი ცხობებისათვის დაგვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**აკატა ბუღაზილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

### შედაგათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აპრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება  
გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო ჟრომათა ქრებული, სამეცნიერო ჟურნალები, ქონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამქვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14  
293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com)

### შურნალ „ეკონომისტი“ სტატიების ფარმოდგენის ფასები

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებული კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს სავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის თრიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ლირებულება 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაბვიპაზშირდით შემდეგ მისამართზე:  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

## GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22

### THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

## USD

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

**ქურნალი “ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

**Journal “Economisti”**

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თხუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
**რედაქტორი ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**